ონის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი # 6

ქ. ონი 21. 06. 2023 წ.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა კომისიის თავმჯდომარე სერგო ლობჯანიძე.

სხდომას 12 წევრიდან ესწრებოდა 10 წევრი: სერგო ლობჯანიძე, ვასილ მეტრეველი, სონია გუგეშაშვილი, ლევან ორდინიძე, მამუკა ყავლაშვილი, გივი მეტრეველი, რევაზ საბანაძე, შალვა კახეთელიძე, შუქურა ჯაფარიძე, თამაზ მეტრეველი.

არ ესწრებოდნენ : ზურაბ ბენდიანიშვილი, ნოდარ ბურდილაძე.

ს. ლობჯანიძემ კომისიის წევრებს გააცნო კომისიის სხდომაზე განსახილველი საკითხები:

1.ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი: სერგო ლობჯანიძე-კომისიის თავმჯდომარე/

2. ,,ონის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე პირებზე ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 26 დეკემბრის #39 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-12 მუხლის ,,უსახლკარო, სოციალურად დაუცველი ოჯახების საცხოვრებელი ბინის ქირით ყოველთვიური უზრუნველყოფა“-ის პირველ პუნქტში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: სერგო ლობჯანიძე-კომისიის თავმჯდომარე/

3.,,2023 წელს ონის მუნიციპალიტეტში, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 11 აპრილის #7 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: სერგო ლობჯანიძე-კომისიის თავმჯდომარე/

4. ,,ონის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების

შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 მარტის #14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: სერგო ლობჯანიძე-კომისიის თავმჯდომარე/

მოისმინეს: 1.ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი: სერგო ლობჯანიძე-კომისიის თავმჯდომარე/

მომხსენებელმა სხდომას გააცნო დადგენილების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ და აღნიშნა, რომ შესაძლებლობის ფარგლებში წარმოდგენილია ცვლილებები, რომლების პასუხობს მოსახლეობის მოთხოვნებს. აღსანიშნავია, რომ ხშირია ცვლილებები ბიუჯეტში, რაც არასასურველია და რომლის თავიდან ასაცილებლად საჭიროა ბიუჯეტის სწორი დაგეგმარება.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და მხარი დაუჭირეს წარმოდგენილი საკითხის ბიუროს სხდომაზე განხილვას.

მოისმინეს: 2. ,,ონის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე პირებზე ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 26 დეკემბრის #39 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-12 მუხლის ,,უსახლკარო, სოციალურად დაუცველი ოჯახების საცხოვრებელი ბინის ქირით ყოველთვიური უზრუნველყოფა“-ის პირველ პუნქტში ცვლილების შეტანის თაობაზე.
/მომხსენებელი: სერგო ლობჯანიძე-კომისიის თავმჯდომარე/

ს. ლობჯანიძემ სხდომას გააცნო დადგენილების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 26 დეკემბრის #39 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-12 მუხლის ,,უსახლკარო, სოციალურად დაუცველი ოჯახების საცხოვრებელი ბინის ქირით ყოველთვიური უზრუნველყოფა“-ის პირველ პუნქტში ცვლილების შეტანის თაობაზე და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ცვლილება მოხდა ყოფილი ბაღის შენობაში დროებით შესახლებული ოჯახების გამოყვანის ხელშეწყობის მიზნით, რომ გაადვილდეს მათთვის ბინების მოძიება და დაქირავება. ყოფილი ბაღის შენობა სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს დასკვნის საფუძველზე ექვემდებარება დემონტაჟს, აღნიშნულ ტერიტორიაზე კი აშენდება ახალი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საბავშვო ბაღი.

კომისიის წევრებს შენიშვნები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არ გამოუთქვამთ.
კომისიამ მხარი დაუჭირა საკითხის ბიუროს სხდომის დღის წესრიგში შეტანას.

მოისმინეს: 3. ,,2023 წელს ონის მუნიციპალიტეტში, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 11 აპრილის #7 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: სერგო ლობჯანიძე-კომისიის თავმჯდომარე/

ს. ლობჯანიძემ სხდომას გააცნო განკარგულების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 11 აპრილის #7 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს სოფლებში, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, მიმდინარე და განხორციელებული პროექტების ხარისხისა და მიწოდების ვადების დაცვის შესახებ და ამ კუთხით არსებულ პრობლემებსა და ხარვეზებზე.

კომისიამ მხარი დაუჭირა საკითხის ბიუროს სხდომის დღის წესრიგში შეტანას.

მოისმინეს: 4. ,,ონის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 მარტის #14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: სერგო ლობჯანიძე-კომისიის თავმჯდომარე/

მომხსენებელმა სხდომას წარუდგინა დადგენილების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 მარტის #14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს საკითხის ბიუროს სხდომის დღის წესრიგში შეტანას.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სერგო ლობჯანიძე

კომისიის თავმჯდომარე